



ცისანა აბულაძე

აღმოსავლურ ხელნაერთა ფონდი: ხელნაერთა ეროვნული ცენტრის თურქულენოვანი წერილობითი ძეგლები

ხელნაერთა ეროვნული ცენტრი ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, ინტელექტუალური პოტენციალის, ისტორიული მემკვიდრეებისა და მხატვრული გემოვნების სავანაა. აქ ინახება V-XIX ს.ს. 10 000 ქართული ხელნაერთი წიგნი და, X-XX ს.ს. 40 000 ისტორიული დოკუმენტი; დაცულია პალიმფსესტის 4750 ფურცელი, პაპირუსების უნიკალური კოლექცია (150 ერთეული), 4000 ხელნაერთი წიგნი ბერძნულ, სირიულ, სომხურ, სლავურ, მონღოლურ და ეთიოპურ ენებზე. ხოლო ე. წ. „მუსლიმურ“ ფონდში დაცულია 1500 არაბული, 708 სპარსული და 307 თურქულენოვანი ხელნაერთი¹. აღარას ვაგებობ მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, კომპოზიტორების, მეცნიერების, მხატვრებისა და სხვათა პირად არქივებზე.

ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წერილობითი ძეგლები შექმნილია მსოფლიოს 15 სხვადასხვა ენაზე. თურქულენოვანი ხელნაერთები, ისევე, როგორც არაბული და სპარსული, შეკრებილია და შედენილი თანდათან², სხვადასხვა დროს - კერძო კოლექციონერების, XIX საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი საქველმოქმედო და სამეცნიერო საზოგადოებებისა და სპეციალისტების მიერ საქართველოსა და მის ფარგლებს მიღმა სამეცნიერო მივლი-

¹ აღმოსავლურ ხელნაერთა ნებისმიერ საცავში 80 პროცენტი არაბული ხელნაერთია, დანარჩენი 20 პროცენტი კი - სპარსული და თურქული.

² თურქეთის რესპუბლიკაში კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ წიგნსაცავებში 500 000 ხელნაერთი ინახება. მათი 80 პროცენტი არაბულ ენაზეა, 15 პროცენტი - თურქულსა და 5 პროცენტი - სპარსულზე. Hasan Duman, El yazmalar Dnyasindra Turkiyonin Yeri, ხელნაერთა სამყაროში თურქეთის ადგილი, ანკარა, 1997.

ნებებში ყოფნის დროს. ხელნაწერებს თავი მოუყარეს ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში (1921 წ.). 1930 წელს კი ყველა ხელნაწერმა, ქართულმა თუ სხვაენოვანმა, ბინა დაიდო სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. მის ბაზაზე 1958 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელიც 1962 წლიდან აკად. კორნელი კეკელიძის სახელობისა იყო, 2007 წლიდან კი დაერქვა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

არაბული, სპარსული და თურქული ხელნაწერები შემოსულობათა მიხედვით განაწილებულია სამ კოლექციაში და სამეცნიერო მიმოქცევაში შესულია შესაბამისი შიფრით K, L და AC. K კოლექცია შედგენილია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მცხოვრები ირანელი პრინცის – ჯამშიდ არდაშირ აქშარ მაჯდოს-სალტანეს მიერ. L კოლექცია შედგენილია ადგილზე დაღესტნიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთის საქართველოსთან მოსაზღვრე რაიონებიდან შემოტანილი და სამხრეთ საქართველოს მკვიდრთაგან შეძენილი ხელნაწერებით. ეს არის მზარდი კოლექცია, რეალურად ზრდაშენელებული. AC კოლექცია კი მთლიანად დაკომპლექტებულია დოც. სტ. ჩხენკელისა და აკად. გ. ნერეთლის მიერ 1935 წელს შუა აზიაში მივლინებისას შეძენილი ხელნაწერებით¹.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 423 თხზულების შემცველი 307 ხელნაწერი აზერბაიჯანულ, თურქმენულ, თურქულ და უზბეკურ ენებზე. აქვეა ერთი მონღოლური ხელნაწერიც, შესრულებული ძველი უიღურული დამწერლობით. ხელნაწერთა რაოდენობრივი სიმცირის ერთგვარი კომპენსაციაა დარგობრივი მრავალფეროვნება (ლიტერატურა, ისტორია, გრამატიკა, ლექსიკოგრაფია, ეპისტოლოგრაფია, რელიგია, სამართალი, მედიცინა, ასტროლოგია, ფილოსოფია და ა. შ.) და ნუსხათა სიძველე. უძველესი ხელნაწერია Tur K18 – აღ-პალიმის სპარსულ-თურქული ლექსიკონი – „ბაჰრ-ულ-ლარაიბ“ – ზღვა უცხო სიტყვებისა. იგი გადამწერილია 1483 წელს (ლექსიკონი შედგენილია 1446-47 წლებში). ავტორი კი გარდაიცვალა 1516 წელს. ჩაღათაურ-თურქული ლექსიკონის, რომელიც შედგენილია უცნობი ავტორის მიერ ალიშერ

¹ აღმოსავლური ხელნაწერების კოლექციებზე დაყოფის, მათი კატალოგიზაციის მეთოდებსა და შესწავლის პროცესზე ვრცლად იხ. რ. გეორგიანი, აღმოსავლური ხელნაწერთა ფონდი, მნივნობარი”. 2006, გვ. 134-144.

ნავოის თხზულებებისათვის 1552 წელს და პირველი განსამარტავი სიტყვის მიხედვით იწოდება „აბუშკად“, ოთხი ნუსხა ჩვენთანაა დაცული. აქედან K 16 გადანერილია 1607 წელს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ალიშერ ნავოის თხზულებათა 30 ხელნაწერი. მათ შორისაა 1519 წელს გადანერილი „მუნშაათი“ (Tur K35) – ეპისტოლოგრაფიული თხზულება. აქვეა პოემა „ფარჰადი და შირინი“ (Tur K36) – გადანერილი 1526 წელს. ე. ი. ალიშერ ნავოის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ. ოც ერთეულზე მეტია პოეტის ლირიკული ლექსების კრებული „დივანი“. ასევე რამდენიმეა ქრონოლოგიურ რიგზე განწყობილი კრებული – „ლარა იბ ას სილარ“ („ბავშვობის საოცრებანი“), „ნავადირ ას ამ-შაბაბ“ („ყმანვილობის იშვიათობანი“) ბადაი ალ-ვასაატ“ („შუახნობის საუცხოობანი“) და „ფავაიდ ალ ქიბარ“ („მოხუცებულობის სიკეთე“). 500 გვერდიან ხელნაწერში (Tur K36) ეს ოთხი დივანი ერთადაა წარმოდგენილი და „ჩეჰარ დივანის“ სახელს ატარებს.

ხელნაწერი მხატვრული გაფორმებითაც მოგხვდებათ თვალში. ტექსტი დანერილია ფერად ფურცლებზე და ჩასმულია გემოვნებით შეხამებული სხვადასხვა ფერის ხაზების ჩარჩოში. ჩვენთან დაცულია ფუზულის თხზულებათა შემცველი 20 ხელნაწერი. მათ შორის არის „ჰადიკათ-ას-სუჟადას“ („ბედნიერების ტყვე“) უძველესი ნუსხები, 1556 წელს გარდაცვლილი პოეტის 1583 წ. (Tur L47), 1586 წ. (Tur L9) და 1598 წ. (Tur K6) გადანერილი ხელნაწერები... ამასთან, მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისაა „თურქთა თურქის“, XI საუკუნის მისტიკოსი პოეტის ხოჯა აჰმედ იესევის (Tur AC 8, 19, 25), XVIII საუკუნის უზბეკი პოეტის საიკალის (Tur AC 10, 11, 22, 27), ჰუკაიდას (Tur AC 19, 20), მოლა მურად ხარეზმის (Tur AC 10) თხზულებების შემცველი ხელნაწერები.

გვიან შუა საუკუნეებში თურქული მოდგმის ხალხთა მჭიდრო ისტორიულ-კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების დადასტურებაა კრებულები (Tur L 59, 26, 105, 159; AC 17), რომლებშიც აზერბაიჯანული, თურქული, თურქმენული და უზბეკური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები ერთი გადამწერის მიერ ერთ ნიგნშია თავმოყრილი. ასე მაგალითად, 1576 წელს გადანერილ კრებულში (Tur L 22) შესულია ალიშერ ნავოისა და ფუზულის „დივანი“ და ჰაიდარის „მაჰაზან ალასრარ“ („საიდუმლოებათა საგანძური“).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XIV ს. ოსმალთა პოეტის აჰმედის „ისტანდერ-ნამეს“ ოსმალური საისტორიო მწერლო-

ბის პირველი ძეგლის ორი სრული ნუსხა (Tur K5, L53). გადანერო-
ლი 1531 წელს. იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ პოემის
ერთ თავში აღწერილია არღუნ ხანის ლაშქრობა საქართველოში¹.
თითო-ორი ნუსხით არის წარმოდგენილი XVII ს. პოეტის საბით
ეფენდის (Tur K4), XVI ს. კლასიკოსების: ხაკანისა (Tur K 11) და ის-
ჰაკ ჩელების (Tur K 26), ნაბის (Tur L 64), ნეფი ეფენდის (Tur L65),
კუსის (XVII ს., Tur L51), სულეიმან ჩელების (XV ს., Tur L70) პოეტუ-
რი კრებულები – „დივანი“ და „გულიათი“. მათ გვერდით ინახება
„ლაშის „შამი და ფერვანა“ (Tur L90). ჰამდულლამ ჰამდის „ფუსუფი
და ზულეიხა“ (Tur L78). „ღეილი და მეჯნუნი“ (Tur K26).

ადგილობრივ კოლექციაში დაცულია მეჰმედ სადიკ თიქლისის
ორი აზერბაიჯანული თხზულება (Tur L41 და 49), გადანეროლი XIX
საუკუნის ოციან წლებში.

საკმაოდ ბევრია არაბულიდან და სპარსულიდან თარგმნილი
ძეგლები. არაბულიდან, ჩვეულებრივ, თარგმნილია რელიგიური
და სამედიცინო თხზულებები. მათ შორისაა შეიხ ვიდადის, იმავე
ბირგივი შეიხ მეჰმედ ეფენდის „ტარიკათი მუჰამადიე“, Tur K 13,
1654 წ. ნუსხა. სპარსულიდან კი თარგმნილია, ძირითადად, ლი-
ტერატურული და ფილოსოფიური თხზულებები: საადის „ბუსთა-
ნი“ (Tur L 6. 31, 63, 148), მთარგმნელი შამ ი ეფენდი, შეიხ ათარის
„ფენდ-ნამე“ („დარიგებათა ნიგნი“) (Tur K 24, 1768 წლის ნუსხა),
ჯამის მისტიკური თხზულება „ნეჰათ ალ-უნს“ (Tur K 28), მთარ-
გმნელი ლამ ი ეფენდი, ალი ჩელების „ჰუმაიუნ-ნამე“, 1572 წლის
ნუსხა (Tur K17).

ჩვენთან დაცულია დესთან „ქოროღლის“ 28 კარისაგან (ტექ-
სტში „მეჯლისი“ წერია) შემდგარი უნიკალური ნუსხა. საქმე ისაა,
რომ დღემდე ცნობილი სრული ვარიანტები 17 კარს შეიცავს. ხელ-
ნაწერი გადანეროლია 1836-1859 წლებში რუსულ ქალაქდზე. სა-
მეცნიერო მიმოქცევაში შესულია თბილისური ნუსხის სახელით².

შედარებით მრავალრიცხოვანია თურქული განმარტებითი და
თარგმნითი ლექსიკონები: XIV საუკუნის ლექსიკოგრაფის ფერიშთე
ოღლუს არაბულ-თურქული ლექსიკონი (Tur K29), XVI ს. ავტორის
მუსტაფა ბ. შამს ედ-დინ ალ კარაჰისარის „ახთერი-ი ქებირ“ (არა-

1 ც. ა ბ უ ლ ა ძ ე. აჰმედ არღუნი ყაენის საქართველოში ლაშქრობის თაობაზე.
კრებული „მოთა რუსთაველი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 1966.

2 Х. Г. Кор-Оглы, Героический эпос Короглы – Взаимосвязи эпоса народов
средней Азии, Ирана и Азербайджана. М., 1983. გვ. 182-247.

ბულ-თურქული ლექსიკონი, Tur K7), ნადირ-შაჰის თანამედროვე მირზა მეჰდი ხანის უზბეკურ-სპარსული ლექსიკონი, ე.წ. „სინგლახი (Tur K14), ლექსიკონი შედგენილია 1760 წელს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წუსხა კი, ჭვირნიშნების მიხედვით, XIX ს. დასაწყისისაა. აბდ-არ-რაჰმან ბ. აბდულლაჰ ალ კუდუსის სპარსულ-თურქული ლექსიკონი (Tur K20), „შარჰ-ი თუჰვე-ი შაჰიდი“ („განმარტებანი მნიშვნელოვანი ციტატებისა“), გადანერილი 1653 წელს. ავტორის ჰუსეინ ნაზმი ზადეს თანადროულია თურქული განმარტებითი ლექსიკონი – Tur K1. იგი გადანერილია 1708 წელს. ავტორი გარდაიცვალა 1717 წელს. ბევრია დარგობრივი ლექსიკონი – სამკურნალო საშუალებათა თუ მცენარეებისა და ძვირფასი ქვების განმარტებები (Tur L10, 73, 76, 80 და ა. შ.). შედარებით ახალია (XIX-XX ს.ს. დასაწყისი) თურქულ-ფრანგული, თურქულ-რუსული და რუსულ-თურქული ლექსიკონები (Tur L 27, 38, 39, 46).

ბევრია ყურანის ნაკითხვის წესების შემცველი ხელნაწერები, ე. წ. „თეჯვიდი“, არაბული ენის გრამატიკა და ოკულტური ტექსტები.

ისტორიული შინაარსის თხზულებები ეხება, ძირითადად, ოსმალეთსა და დაღესტან-აზერბაიჯანს. ასეთებია: საად-ედ-დინ ხოჯა ეფენდის (გარდაიცვალა 1599 წელს) „სელიმ-ნამე“, ისტორია სულთან სელიმ იაკუზისა (1512-1520). ხელნაწერი (Tur K3) გადანერილია 1604 წელს. კოჩი-ბეგი გორიჯელის „რისალე“ (Tur K2), ჭვირნიშნების მიხედვით გადანერილი ჩანს 1775 წელს. აქ ინახება „დერბენდ-ნამეს“ 4 წუსხა (Tur L82, 89, 130 და 143). ოთხივე ხელნაწერი XIX საუკუნის პირველი ნახევრისაა. Tur L130-ის მფლობელი ყოფილა აბასკული ბაკიხანოვი. განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ხელნაწერი Tur L184, რომელიც შესრულებულია ძველი უიღურული დამწერლობით. მაგრამ ტექსტი მონღოლურია და, როგორც აკად. ედჰემ ტენიშევისა და პროფ. პიურბეევის კონსულტაციით გაირკვა, წარმოადგენს სამხრეთ მონღოლეთიდან ბუდიზმის მიმდევარი მაღალი სასულიერო პირის გენეალოგიურ ისტორიას. უჩვეულოა ხელნაწერის ტექნიკური სახეც: ქალაღდი – თხელი, სიფრიფანა, ყდა – ჯეალოს ნაჭერი, აკინძულია მსხვილი დაგრეხილი თოკით. ხელნაწერი 1921 წელს შესულა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. შემდეგ, წლების მანძილზე, H ფონდში ინახებოდა 1878 ნომრით.

თურქული ხელნაწერების L კოლექციის №1 ხელნაწერია „დევთერ-ი მუფასალი ვილაჟეთ-ი გურჯისტან“ („გურჯისტანის ვილაჟეთის

დიდი დავთარი“) – ოსმალთა მოხელეების მიერ 1595 წელს ფისკალური მიზნით შედგენილი „თაპრირ“ დავთარი. მასში დანვრილებითაა აღწერილი თურქთაგან დაპყრობილი და გურჯისტანის ვილაიეთად სახელდებული მესხეთი, ჯავახეთი, არტაანი, ჩილდირი, კოლა და ტაოს ნაწილი. დავთარი საუკეთესო წყაროა ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიის (დასახელებულია ყველა სოფელი, ნასოფლარი, ეკლესია, ციხე, ტბა, მდინარე და საყანე ადგილები), ონომასტიკისა და ეთნიკური შედგენილობის (აღნიშნულია გადასახადის გადამხდელ პირთა და ოჯახის უფროსების მამის სახელები. ამ უკანასკნელს ზოგჯერ ცვლის ხელობის აღნიშვნა, „დავთარი“ სრულად წარმოაჩენს რეგიონის ეკონომიკას: აღნიშნულია თითოეულ გეოგრაფიულ პუნქტზე შეწერილი გადასახადის რაოდენობა, გადასახადის სახეობები, ჩამოთვლილია საგადასახადო ობიექტების სახელები და რაოდენობა, თითოეულის ღირებულება, სარწყავი არხებით სარგებლობის წესი და ფასი. „დავთარი“ დოკუმენტური წყაროა ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა, ოსმალური დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის საკითხების შესასწავლად. აკად. ს. ჯიქია მსოფლიოში პირველი თურქოლოგია, რომელმაც სიაკათის ურთულესი ხელით დანერგილი „დავთარის“ სრული ტექსტი გამოაქვეყნა (ტ. I), დაურთო ქართული თარგმანი (ტ. II) და გამოკვლევას (ტ. III). გამოკვლევის ნაწილი (ტ. IV) დღემდე გამოუქვეყნებელია. ს. ჯიქიამდე ოსმალური დავთრებიდან აქვეყნებდნენ შერჩეული მონაკვეთების მხოლოდ თარგმანებს. სპეციალისტები ვერ ახერხებდნენ ორიგინალის კრიტიკული ტექსტის დადგენას, ამიტომაც ს. ჯიქიას გამოცემა სამაგიდო წიგნი გახდა ოსმალურ დავთრებზე მომუშავე ყველა თურქოლოგისათვის თურქეთსა თუ უნგრეთში, გერმანიასა თუ პოლონეთში, აზერბაიჯანსა თუ სომხეთში.

თურქეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული და ენობრივი კონტაქტების, თურქული ენის ისტორიული ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული ანბანის ნიშნებით ჩანერგილი ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიური და აზერბაიჯანული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სახალხო მთქმელებისა და მომღერლების ტექსტები, თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული სასაუბრო ლექსიკონები, თურქული ენის სასწავლო წიგნები.

საქართველო მუდამ მგრძნობიარე იყო თურქული მოდგმის ხაღ-
ხების მიმართ. ახლო მეზობლური მდებარეობით განპირობებული
მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ქართველ
ხალხს თურქული ენის ცოდნის საჭიროებას კარნახობდა – „...ვინმე
ოსმალში რომ ეიმყოფებოდეთო“ – წერია ერთ „თათრული“ ენის
სახელმძღვანელოში. ეს საჭიროება კარგად დაინახა XVIII ს. დიდ-
მა ლექსიკოგრაფმა სულხან-საბა ორბელიანმა და თავის „სიტყ-
ვის კონაში“ ქართული სიტყვების განმარტებების პარალელურად
მოიტანა თურქული შესატყვისებიც. იგივე გაიმეორეს მომდევნო
ეპოქის ლექსიკოგრაფებმა – ნიკო და დავით ჩუბინაშვილებმა. ქარ-
თულ ხელნაწერთა ფონდში დაცულია XVIII საუკუნეში შედგენილი
საკმაოდ მოზრდილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი და სხვა
მისთანები, რომელთა ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს დაიჭერდა¹.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია თურქეთ-საქართვე-
ლოს ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის
ამსახველი XVI-XX ს.ს. 300 ოსმალური დოკუმენტი. ესენია: ფადიშა-
პების, ანუ ოსმალთა სულთნების მიერ გაცემული სიგელები – ფირ-
მანი, ბერათი, ჰუქმი (მათ შორის, „მანძილისა“, თურქ. „ლჰუქმი“),
ნამე – ითოუკ ნამე, მუაფ ნამე, სითარხნის წიგნი, ოსმალთა ფაშე-
ბის წერილები და ბრძანებები (ბუირულდუ) იმერეთის მეფეებისა
თუ გურია-სამეგრელოს მთავრებისადმი, ყარსისა და ერზერუმის
სერასქერების წერილები ქართლის თავადებთან. აქვეა შარიათის
სასამართლოს გადაწყვეტილებანი – „ჰუჯათები“, „არზა-ჰუქმები“
და საქმიანი წერილები. დოკუმენტების დიდი ნაწილი თიმარ-ბერა-
თებია და ეხება ოსმალთაგან ახალციხის ანუ ჩილდირის ეალეთად
სახელდებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე 1723-
35 წლების, ანუ „ოსმალობის“ ხანის შიდა და ქვემო ქართლს. 80-
მდე წერილი და სხვადასხვა ფორმულიარის დოკუმენტი 1828-29
წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროისაა. მათში საომარი მოქმე-
დებების მომზადებისა და წარმართვის მნიშვნელოვანი ფაქტებია
აღწერილი.

ოსმალთა ხელისუფალთა სჯულშემწყნარებლობა (განსაზლ-
ვრულ დრომდე) კარგად ჩანს სულთან აჰმედ III-ის და მაჰმუდ ხანის
მიერ გაცემულ სიგელებში. აქ შიდა ქართლის, ქსნისა და არაგვის
ერისთავები თავადებად, ხოლო მათი ქვეშევრდომები აზნაურებად

¹ მათ შესახებ იხ. ც. ა ბ უ ლ ა შ ე, ქართული აზნაურთა ტრანსლიტირებული
თურქული ტექსტები, შრავალთავი, ტ. XXI, თბ., 2005

მოიხსენებთან, ე. ი. ხელუხლებელია ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სახე. რაც მთავარია, ზეამეთი და სახასო მამული აზნაურებსა და თავადებს ქრისტიანობით ებოძებათ. გივი ამილახვარი ქრისტიანი ხალხის ბელადად ინოდება – „კიდვით აღ-მიღლეთ აღ-მასიჰ“. ეს კია, რომ სახელს უშუალოდ მოსდევს სტერეოტიპად ქცეული სურვილი „კეთილი იყოს მისი ბოლო“, რაც ნიშნავს – „იგი გარდაიცვალოს ისლამური სარწმუნოების წიაღში“.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ოსმალური დოკუმენტები, ორიოდუ გამოჩაქლისის გარდა, ორიგინალებია. დოკუმენტის დანიშნულების, ე. ი. ფორმულიარის შესაბამისია დოკუმენტის ზომა, ქალაქის ფერი და ხარისხი, ხელი – ნასხი, თუ ნასთალიკი, თალიკი, თუ რიკა, სულსი, იენი დივანი თუ ჯელი დივანი – შავი, წითელი და ოქროს მელნის მონაცვლეობა. ასევე ფორმულიარის შესაბამისია საბუთის დამადასტურებელი ბეჭდის მდებარეობა. წარწერა და ფორმა.

საბუთის რაობისა და გაცემის თარიღის დასადგენად ძალზე მნიშვნელოვანია მინაწერები და სარეგისტრაციო აღნიშვნები (ძირითადად „ოქლამაჯისა“) ზურგზე (verso-ზე). აქ საბუთის რაობა იშვიათად ქართულადაც არის აღნიშნული. ასე მაგალითად, „საათაბაგოს მამულებისა არის“, „ხვანთქრის წიგნი, მაგრამ ჩვენი სახელი კი არ სწერია, სხვა მელიქისა არის“, „თათრული არის“, „სამანყვერლოსია“ და მისთანები.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სახასო მამულის ბოძების სიგელები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ოსმალური დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის თვალსაზრისით. მათზე გამოყვანილი სულთან მურად III, მუსტაფა II, აჰმედ III, მაჰმუდ I, მუსტაფა III და აბდულჰამიდ I თულრები (სულთნის სახელი, მამის სახელი და ატრიბუცია „მარადის გამარჯვებული“) ჭეშმარიტად მაღალი მხატვრული ღირებულებისაა, თითოეული დეკორატიული და ფერწერული ხელოვნების დიდებული ნიმუშია. ხელნაწერების მხატვრულ სახეს ქმნის ფილიგრანულად დამუშავებული ფერადოვანი უნვანები. ისინი შესრულებულია ოქროს მელნით, ლურჯი, მწვანე, ყვითელი და წითელი საღებავებით.

თბილისში დაცული თურქულენოვანი წერილობითი ძეგლების გამოვლენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა უკავშირდება აკად. სერგი ჯიქიას სახელს. მან, როგორც ითქვა, გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოაქვეყნა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი

დაეთარი". თურქული ტექსტი – ტ. I, ქართული თარგმანი – ტ. II და გამოკვლევა – ტ. III. განსვენებული აკადემიკოსისა და მისი მონაწილის მიერ შედგენილია ოსმალური დოკუმენტების კატალოგი და გამოცემულია რამდენიმე სასულთნო სიგელის, ბუიროლდისა და ჰუჯათის თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით. ცხადყოფილია საქართველოს ისტორიისათვის ამ დოკუმენტების წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

ინფორმაცია ჩვენთან დაცული თურქულენოვანი ხელნაწერების შესახებ წლების მანძილზე იბეჭდებოდა სხვადასხვა ორიენტალისტურ კრებულებში (თბილისი, ბაქო, ერევანი, ტაშკენტი, აშხაბადი, მოსკოვი, ანკარა, ბუდაპეშტი). 2004 წელს ქართულ და თურქულ ენებზე გამოვიდა „თურქულ ხელნაწერთა კატალოგი“. შემდგენლები ც. აბულაძე, მ. ილურიძე.

ამრიგად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თურქული წერილობითი ძეგლები სრულად არის გამოვლენილი და ხელმისაწვდომია სპეციალისტებისა და, საერთოდ, დაინტერესებული პირებისათვის.